პროლეტარიანო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 280 (20271) — ოთხშაბათი, 5 ოქტომბერი, 1988 წელი. — ფასი 3 კაპ.

მექანიზატორთა იშარული რგოლი

რამდენიმე თვის წინ გორის რაიონის სოფელ ხელოუბნის კოლმეურნეობა „განთიადში“ იმარული რგოლი შეიქმნა. რგოლში გაერთიანდნენ ვალერიან ტერმარკოზაშვილი (ხელმძღვანელი), სოლომონ ჩალაბაშვილი, გიორგი ტერტერაშვილი, ალეკო შოთაშვილი, გიორგი აკოფაშვილი და გივი გაგნიძე.

რგოლის წევრებმა უკვე მოხნეს და მინერალური სასუქი შეიტანეს 140 ჰექტარ ფართობზე, სადაც ამჟამად სიმინდგროვა ხორბალს თესავენ. მათ გადაწყვიტეს კარგი მოვლით ჰექტარზე 32 ცენტნერი ხორბალი მიიღონ.

გაზაფხულზე კიდევ 140 ჰექტარზე დათესავენ სამარცვლე და სასილოსე სიმინდს.

სურათებზე: კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი გივი კოჩიაშვილი, იმარული რგოლის ხელმძღვანელი ვალერიან ტერმარკოზაშვილი და რგოლის წევრი სოლომონ ჩალაბაშვილი ხორბლის თესვისას; სამეთოდგომი ხორბლის თესვა.

ვ. ბენსიშვილის („კომუნისტი“) ფოტო.

ოფიციალურ ვიზიტად

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მოწვევით 4 ოქტომბერს მოსკოვში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ჩამოვიდა რუმინეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი ნიკოლაე ჩაუშესკუ.

აეროდრომზე ნ. ჩაუშესკუსა და მის მეუღლეს დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. იაკოვლევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. ლუკიანოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ვ. ტალიზინი, სხვა ოფიციალური პირნი.

აეროდრომიდან ავტომანქანების კორტეჟი მოტოციკლისტთა ესკორტის თანხლებით კრემლისაკენ გაემართა.

კრემლის დიდი სასახლის გიორგის დარბაზში გაიმართა რუმინელი სტუმრის მეზეედრის ცერემონია.

ნ. ჩაუშესკუსა და მის მეუღლეს გულთბილად მიესალმნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ს. გორბაჩოვი და მისი მეუღლე. (საკინფორმი).

▼▼

ვიზიტი კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ვიზიტი კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში გადატანილია სხვა დროისთვის, რომელის ვადასაც დამატებით შეთანხმებენ საბჭოთა და კორეის მხარეები.

▼▼

იტალიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ჩ. დე მიტას ვიზიტი სსრ კავშირში

საბჭოთა საგარეო საქმეთა სამინისტროს მოწვევით, იტალიის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჩ. დე მიტა ოფიციალურ ვიზიტად ეწვევა საბჭოთა კავშირს მომდინარე წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში.

უზრუნველვყოთ რთველის დამთავრება მოკლე ვადაში

ყოველ რთველს დამახასიათებელი თავისებურება აქვს. წლევანდელი მიმდინარეობს მეურნეობრობის, სოფლად ეკონომიკური რეფორმის განხორციელების ახალ პირობებში, როდესაც წინა პლანზე დგება მატერიალური დაინტერესება შრომის საბოლოო შედეგებით.

რა გვიჩვენა მოსავლის აღების პირველმა დღეებმა, რას უნდა მივაპაყოთ ყურადღება ინისათვის, რომ უზრუნველვყოთ მთელი კომპანიის განხორციელება მაღალ ორგანიზაციულ და ტექნოლოგიურ დონეზე. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა საშემოდგომო ციკლის ეს და სხვა პრობლემები განიხილეს თელავში გამართული თათბირის მონაწილეებმა, რომელშიც მონაწილეობდნენ რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებათა თავმჯდომარენი, რესპუბლიკის სახაგრომრეწვის იმ სამსახურების ხელმძღვანელები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან წარმოებასთან, მოსავლის ტრანსპორტირებასა და გადამუშავებასთან, მეცნიერების რაიონების მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებასთან.

აღინიშნა, რომ მთლიანად კახეთში ყურძნის რიგიანი მოსავალია. არის რეალური პირობები გეგმის შესრულებისა, თუმცა როგორც ანალიზი გვიჩვენებს, რთველმა პირველ ეტაპზე ვერ მოიკრიბა მთელი ძალები, ვერ პოვა ჯეროვანი გაქანება. და აქ მთავარია არა იმდენად სამუშაოთა ტემპი, რამდენადაც მისდამი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების მთელ რიგ ხელმძღვანელთა მიდგომის პასუხისმგებლობა. რთველი მოთვის არ გამხდარა უპირველესი მნიშვნელობის საქმე. ამა, სხვაგვარად რით აიხსნება ის ფაქტი რომ ყველა მეურნეობამ და რაიონმაც კი როდი დარაზმეს მოსავლის აღების სამუშაოებისათვის საჭირო რაოდენობის მუშახელი, არ გამოყვეს სამყოფი რესურსები. ამას შედეგად მოჰყვა რთველის მიმდინარეობის ყოვლად გაუმართლებელი შენელება. ცნობილი გახდა მოსავლის აღების ტექნოლოგიის დარღვევის შემთხვევები, როდესაც გადასამუშავებლად იგზავნება უყურადღეო, ნაკლებშაქრიანი ყურძენი. ეს კი უაღრესად უარყოფითის გვლენას ახდენს მაღალხარისხოვანი მშრალი და სამარკო ღვინოების გამომუშავებაზე, დიდ ზარალს აყენებს როგორც ღვინის ქარხნებს, ისე კოლმეურნეობა საბჭოთა მეურნეობებს.

ამავე დროს, ითქვა თათბირზე, მცირე შაქრიანობა ყოველთვის რადია უსმინდობის შედეგი. ხშირად ირღვევა ვაზის მოვლის ტექნოლოგია, მეტისმეტად ბევრი შეაქვთ სასუქი და ზზამ-ქიმიკატები, არასწორად ასრულებენ ვაზის მოვლის ოპერაციებს. ყოველივე ეს დაღს ასვამს ყურძნის ხარისხს. სწორედ ამიტომ განუხრელად უნდა სრულდებოდეს სწავლულ მეეკონომეთა, პრაქტიკოსთა და სპეციალისტთა, ხელმძღვანელთა რჩევა-დარიგება, მოსავალს საფუძველი ეყრებოდეს მათთან მჭიდრო კონტაქტით. — ვაზის მოვლით დაწყებული და ზზა პროდუქციის გამომშვებით დამთავრებული.

თათბირის მონაწილეებმა დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი, რათა უზრუნველყონ რთველის დამთავრება მოკლე ვადაში, უდანაკარგოდ, მაღალი საბოლოო შედეგით.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, რესპუბლიკის სახაგრომრეწვის თავმჯდომარემ გ. დ. მგელაძემ. (საკინფორმი).

რეპორტაჟი

ფვარში

სტუდენტები არიან

„ზილიჩა“, ახე ჰქვია ამ მინდვრებს. საქართველო აქედან იწვეებიო — ამბობენ. უფრო სწორედ აქვე წამოიმართოს „შავი მთიდან“ იწყება საქართველო. ადრე, აქ, მეცხოვლეთა ბინები ყოფილა. წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის კოლმეურნეობას აქ ცხვარი დაუფიფიდა, რემა ყაყვდა და ეოტაოდენ ხახნავ-ხათუნს მფლობდა. ჩვენს დროში თვალწუდენელი ზვრები გაშენდა. კოლმეურნეობას სულ 1227 ჰექტარი ვენახი აქვს, აქედან 800 ჰექტარი „ზილიჩის“ მინდვრებში გადაკიმულა.

კახეთი დღეს რთველით სუნთქავს. ბარაქიანი მოსავალი აქვთ ქვემოქალქელებს. ათი ათას ტონაზე მეტ ყურძენს მოვცემთ ქვეყანასო — იმედიანად ამბობენ. ახლა მთავარია, კრეფის ტემპი შეინარჩუნონ. დრო მეგენახეთა საზეიმოდ მოქმედებს. რაც უფრო მალე დაკრეფენ, დანაკარგები მით უფრო ნაკლები იქნება და არც სიტყვას გიტეხენ. 10 ათას ტონაზე მეტი ყურძენი ნამდვილად დაიკრეფება. დაბეზოებული მტევნებით დახუნძლული ვაზები დიდ იმედს გვაძლევენ. ასეთ დროს ყოველი მკრეფავის მოწადინება და თანდგომა დიდი რამ არის. ამიტომაც შეხვდნენ მამა-შვილურად საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო კვლევითი ინსტიტუტის სტუდენტებს. დასახმარებლად ჩამოსულმა გოგო-ბიჭებმა, სულ 230 სტუდენტმა, აქ, „ზილიჩის“ ვენახებში დაიდეს ბინა. მათთან ერთად არიან ზრომითი ბანაკის ხელმძღვანელი — დოცენტი გივი რამიშვილი, კომისარი — ნუგზარ ქოქინაძე და 19 მასწავლებელი. სად ცხოვრობენ? მასპინძლებმა მათთვის კარვები დასცეს. აქვე ფრიალებს ინსტიტუტის დროშა და ყველაფერი მოლაშქრეთა ბანაკსა ჰგავს. მართლაც სტუდენტები ხომ „რთველი-88“-ის მოლაშქრეები არიან. მასპინძლებს მათთვის აუშენებიათ ბანაო, სამზარეულო, სასადილო. სტუდენტებს აქვთ აგრეთვე საცურაო აუზი, სპორტული მოედანი და ეხლრადა. მშვენივრად ვერთობითო — ამბობენ ახალგაზრდები და დიდ ქმაყოფილებას გამოთქვამენ. საქმე ის არის, რომ „რთველი-88“-ის მოლაშქრეები სულ პირველკურსელები არიან, ორივე ფაკულტეტის პირველკურსელები.—აქ ყველანი დაგმეგობრდით, — გავიგეთ ერთმანეთის თვისებები. ვიცით, ვინ რომელ საქმეშია მარჯვე. ვინ ჭიდაობს, ვინ მღერის, ცეკვავს, იცის მხატვრული კითხვა. „ჩვენი ტალანტები“ შევარჩიეთ და კონცერტისთვისაც ვემზადებით. კომკავშირის კომიტეტის მდივანი შეგვპირდა: ეკსკურსია უნდა მოვაწყოთო — ყოველივე ამას გოგო-ბიჭები ქმაყოფილებით ლაპარაკობენ. რა თქმა უნდა, ეს „მამაცობისათვის“, უკვე ცხოვრებაში ჩახედული, გონიერი ბიჭუკაა. ეს მან შეერა რგოლი — სამიენი ერთად ვარეფო, დღის ბოლოს ნამუშევარს თანაბრად ვიწერთ და სამი ათას კილოგრამზე მეტი გამოდისო — მითხრეს. ესეც სტუდენტური იერარა — გავიფიქრე და ბიჭებს ვკითხე: „ათასიანელის“ გამომუშავება დღეში რამდენია მეთქი. 80 მანეთიო — მითხრეს. გარდა ამისა, დღის გამარჯვებულ რაზმს მეორე დილით ბაზზე გადაეცემა ჯილდო — 40 მანეთი.

სტუდენტები არიან

მათი საუბრის მთავარი თემა რთველია. აი, ახლა შევიტყვეთ, რომ უკვე უკვე რეკორდსმენები. ყველაზე ხელმარჯვე მკრეფავებს აქ „ათასიანელებს“ უწოდებენ. ე. ი. იმათ, ვინც დღეში ათას კილოგრამს და უფრო მეტ ყურძენს კრეფენ, აი ისინიც: გიორგი ცაბუტაშვილი, გიორგი ჭუმბურიძე, იოსებ შილდელაშვილი, ოთარ როჭიაშვილი და ზემოკეთილი სტუდენტი, მელორეობის ფერმის ყოფილი მწყემსი ბესიკ უანაშვილი.

„ათასიანელები“ არიან აქ დამეგობრებული სამეული — გიორგი სუხიაშვილი, რამაზ ჩაფიჩაძე და მალხაზ ეგნატოიძე. მალხაზმა ავდანეთში მოიხადა ინტერნაციონალური ვალი. აქვს მედალი „მამაცობისათვის“, უკვე ცხოვრებაში ჩახედული, გონიერი ბიჭუკაა. ეს მან შეერა რგოლი — სამიენი ერთად ვარეფო, დღის ბოლოს ნამუშევარს თანაბრად ვიწერთ და სამი ათას კილოგრამზე მეტი გამოდისო — მითხრეს. ესეც სტუდენტური იერარა — გავიფიქრე და ბიჭებს ვკითხე: „ათასიანელის“ გამომუშავება დღეში რამდენია მეთქი. 80 მანეთიო — მითხრეს. გარდა ამისა, დღის გამარჯვებულ რაზმს მეორე დილით ბაზზე გადაეცემა ჯილდო — 40 მანეთი.

მკრეფავებში თავიანთი ლიდერები გოგონებსაც ყავთ. ნინო ხვიჩანი და ეკა წულუკიძე დღეში ასეულობით კილოგრამს უურძენს კრეფენ. აქვნ მეტიც მოეკრიფათ, მაგრამ გოგონები ცოტანი არიან, ვიღები უფრთხილდებიან: არ დაიღალოთ, თქვენთვის ეგეც ბევრიაო.

დაღლილობა კი რატომღაც არ ეტყობათ. ირგვლივ ისეთი გარემოა სამშობლოს ერთგულებისთვის, ვაზის სიყვარულისთვის, ერთიმეორის პატივისცემისთვის განაწყოს ადამიანს. ამიტომაც აქვთ რთველის მოლაშქრებს ამაღლებული განწყობილება.

ჯ. ყურხული,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ენა ჩვენი, ქართული

დედაენის სწავლებას — გამორჩეული ყურადღება

ლენინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ ნოყიერი ნიადაგი შეუქმნა ქართული ეროვნების და ტექნიკის განვითარებას, ეროვნული კულტურისა და ხელოვნების აყვავებას. და ამ ობმასელის მტაცელ ლაბი ყოველივის იყო პარტიისა და მთავრობის ზრუნვა ქართული ენის სიწმინდის დაცვისათვის. ის, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირველი დეკანოზიანვე რესპუბლიკის სასწავლებლები სწავლებდა მშობლიურ ენაზე მიმდინარეობს. იგი საკანონმდებლო სასწავლო დისციპლინად, სხვა საგნებისა და მეცნიერებათა სწავლების ბალავრად იქცა.

ქართული ენის სწავლების გაუმჯობესების ძმლაური იმპულსი მისცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 და 1983 წლების ცნობილმა დადგენილებებმა, გადაბალისდა სკოლების, სასწავლებლების მეთოდიური და დამსმარე ლიტერატურა, ახალი პროგრამების, სახელმძღვანელოებნის შესაქნელად გამოცხადდა კონკურსები. უმაღლეს სასწავლებლებში გაფართოდდა ქართული ლიტერატურის სალექციო კურსი. გიზარდა ქართულ და არაქართულ სკოლებში ქართული ენის შესწავლისათვის გათვალისწინებული საათები. თვისებრივად და ხარისხობრივად გაუმჯობესდა ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო კაბინეტები, ხოლო საენის გაღრმავებული სწავლება, მასწავლებელთა, ლექტორთა შემადგენლობა.

მაგრამ დღეს, როდესაც ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე რეფორმიანი გარდაქმნების ვითარებაში სრულიად ახალურად იჩინა თავი აქამდე მიჩქმალულმა ეროვნებათაშორისი ურთიერთობის პრობლემებმა და გაიზარდა მშობლიური ენის სწავლებისათვის საუხსმგებლობა, ჯერ კიდევ მრავალად არის ნაკლოვანებები, გადაუჭრელი პრობლემები. მასწავლებლთა ერთი ნაწილის თეორიული მომზადება, პედაგოგიური ფსიქოლოგიისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ნაწილში ქართულ ენას არასპეციალისტები ასწავლიან.

რესპუბლიკის ბევრ სკოლაში ჯერ კიდევ მოუწყობელია ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო კაბინეტები, ხოლო საენის გაღრმავებული სწავლება, ფაქტობრივად, არც ერთ სკოლაში არ არის ორგანიზებული. დღემდე ვერ მოგიჩვენა სრულყოფილი სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შექმნა. მასწავლებლებს ხელი არა აქვთ სათანადო შინაარსის, ხარისხისა და რაოდენობის სასწავლო თვალსაჩინოებანი, მეთოდიური ლიტერატურა, სწავლების ტექნიკური საშუალებანი.

დედაენისა და ლიტერატურის სწავლება ძირეულ გადაჯახებებს მოითხოვს. იგ რესპუბლიკის მთელი პედაგოგიური ფრონტის ღირსების საქმეა. მის შემდგომ სრულყოფაზე ბევრად არის დამოკიდებული ეროს სულიერი და ინტელექტუალური წინსვლა.

საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრომ ამ მიმართულებით საქმიანი ნაბიჯი გადადგა. დამტკიცდა ქართული ენის და ლიტერატურის სწავლების გეგმა-პროგრამები 1989-1993 წლების კომპლექსურ ღონისძიებათა გეგმა, რომელიც თვალისწინებს ახალი სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების, მეთოდიური ლიტერატურის, თვალსაჩინოების შექმნას. სკოლამდელი დაწყისებლების აღმზრდელთა მოსამზადებელად ეგოგიური ინსტიტუტებში მეტყველების სპეციალისა და ქართული ლიტერატურის ზოგადი კურსის შემოღებას, აგრეთვე ჰუმანიტარული პროფილის უმაღლეს სასწავლებლებში ქართულ ენასა და ლიტერატურაში ზეპირი გამოცდის ადგენენს. მოისინჯება ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე კლასის ორ ჯგუფად გაყოფის, სოფლის, განსაკუთრებით მაღალმთიანი სოფლის სკოლების ახალგაზრდა, კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის შესაძლებლობანი. მომზადდება სასკოლო განმარტებითი და ორთოგრაფიული, ტექნიკური, სასოფლო-სამეურნეო დისციპლინებისა და სამედიცინო-ბიოლოგიური ლექსიკონები. რესპუბლიკის ყველა უმაღლეს და სასწავლო სპეციალურ სასწავლებლებში შემოღებული იქნება ქართული ენის პრაქტიკული კურსი, შეიქმნება ქართული ენისა და ლიტერატურის კითხვრები.

მომავალი 1988-1989 სასწავლო წლიდან ქართული ენის სწავლება რესპუბლიკის არაქართულ სკოლებში სავალდებულო ჩართვებია.

ენას — ამ უდიდესსა და უსათუოეს ეროვნულ განძს გაფრთხილება, მზრუნველობა სჭირდება. და ეს თითოეული ჩვენგანის მოვალეობა და ღირსების საქმეა.

სახალხო დღესასწაულები

„ლიხნაშთა“ სტუმრებს იღებს

ბუდაუთა. შემოდგომა სასიხარულო ხანაა მშრომელისათვის. მოსავლის დღესასწაულმა „ლიხნაშთამ“ შემოაბიჯა აფხაზეთის სოფელ ლიხნში.

დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად აქ ჩამოვიდნენ ამხანაგები ჯ. ი. პატარაშვილი, ბ. გ. ბოლაშვილი, ა. ნ. ინარეი, ნ. ა. ფოფხაძე, ბ. ვ. ადლეიბა, ვ. მ. სიხარაძე, პატრიოტი და საბჭოთა მუშაკები, საქართველოს სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები. მათ შორის ანაკა პოეტი აკადემიკოსი, სოციალისტური შრომის გმირი ირაკლი ანაშია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ალბერტ თავფოლიძე, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები ემოეთან ლომთათიძე და მარიკა ლორთქიფანიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ნოდარ ამაღლობელი, პოეტი ჯანსუდ ჩარკვიანი, საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარე თენგიზ ბუაჩიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტთან არსებული - პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი დევი სტურუა და სხვები.

მთებში, მწვანე ველზე, სადაც ჩვეულებრივ იმართება ხოლმე ზეიმი, ხუთიდან მონაპირმა სიმ მოიტანა სამშობლოს, პატიოსან, შრომიერი ადამიანის შესახებ სახალხო პოეტების დიმიტრი გულიას და ბაგრატ შინკუბას ლექსებზე შექმნილი სიმღერები. გარშემო ბზე, მუსიკა და ყვავილეთა. აფხაზეთისათვის ეს ლეგენდიდ მოსილი ველი ლიხნის ცენტრში მარტოოდენ მხარის ღირსშესანიშნაობა როდია. ბევრი რამ მოიმსწრეა იგი. აქ იწერებოდა აფხაზეთის ისტორიის მწუხარე ფურცლები, აქ იღებდნენ სახალხო მეკრებებზე უადრესად მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს. რამდენი გმირი უხსახეს მას.

ომისა და შრომის ამ გმირებისა და ომით შესახებ, ვინც იბეჭრთა გარდაჭმნის სიძნელეები, მღერიან დღეს ხალხური მოქმელები. „ლიხნაშთა“ კი სულ უფრო იკრების ძალას, მოდიან და მოდიან სტუმრები.

ლიხნელ მშრომელებს კი ბევრი რამ აქვთ საჩვენებელი. ტრადიციისამებრ დღესასწაული დაიწყო ხალხური ხელოვნეგა ოსტატთა ნამუშევრების გამოფენის დათვალიერებით. ისინი გაშლილია ყოველ სახლში და წარმოადგენს გუდაუთის რაიონის სოფლებს. ამ ეზოებში თვალსაჩინოდ ჩანს კოლმეურნეობების მიღწევები. აქ წარმოდგენილია ყველაფერი, რითაც მდიდარია აფხაზეთის მიწა-წყალი. მზის სხივები დასთამაშებენ სუბტროპიკული ბაღების ბარიჯას. ისეთ ტრადიციულ კულტურებთან ერთად, როგორიცაა სიმინდი, ყურძენი, ჩაი, თამბაქო, ციტრუსი, ბეიღლება ნახოთ კოლმეურნეების მიერ მოწეული შედარებით ახალი ბოსტნეული — ჩაიინი და პატისონი.

რაიონის მშრომელები, რომლებიც აქ ტურად მონაწილეობენ გარდაქმნაში, წარმატებით ითამაშეს თავს 1988 წელი და მეთორმეტე ხუთწლეულის სამი წლის საგეგმო დავალებებს.

ამ სახალო დღესასწაულის გაბნასხვაგებელი ნიშანი ის არის, რომ მთელი თავისა მკაფიოდ გამოხატული ფოლკლორულობის მიუხედავად, იგი ინტერნაციონალურია. ფაცეხების ოიგში, რომლებიც წარმოადგენენ რაიონის სოფლებს, არის ქართული სოფელი ოფოლნიკიძე. სომხური სოფლის პრეზიდიუმს კარმიდამო, აფხაზური სამეგელოს გვერდით კი ქართული თონეა, სადაც სტუმრებს თვალწინ ლავაშებს აცხობენ.

„ლიხნაშთის“ ფერები ცისარტყელის ფერებია. ყოველ მის კუთხეში მხიარულება სუფევს. იმართება ასპარეზობა სპორტის ხალხურ სახეობებში, გამოდიან მთქმელები, სოფლების მუგუძირიზვის, ზვანდრიფშის, აჭანდარის, ზოფის თვითმოქმედი ფოლკლორული ანსამბლები. დღესასწაულის ფიტალი ხალხურ ინსტრუმენტთა სანავმო ანსამბლი. დღესასწაულზე სტუმრადაა ბევრი ფიტალეული, რომლებსაც გაუგიათ აფხაზური ფიტალის ამბავი მთა ფუალეთ ბუნებიდან და ბალთადად იღებდნენ, უმასპინძლდებოდნენ ყურძნითა და ცხელი ხაჭაპურით.

... დღესასწაულზე ისმის მხიარული ყიჟინა. ყველა ხარობს, ფერხულშია ჩაბმული და მისი ტრადიციული ფინალია მამზადებელი მოავალკლომეტრიანი ბარული. (საკინფორმი).

საქართველო — ბულგარეთი

პირდაპირი კავშირურთიერთობა

28 სექტემბერ-3 ოქტომბერს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გ. ათანასოვის მიწვევით ბულგარეთში იყო საქართველოს მთავრობის დელეგაცია რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ო. ჩერქეზოვის მეთაურობით.

ვიზიტის დროს ბულგარეთისა და საქართველოს მთავრობათა მეთაურებმა ხელი მოაწერეს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და საქართველოს სს რესპუბლიკის ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარების 2000 წლამდე პერიოდის პროგრამას.

საქართველოს სსრ დელეგაციის მეთაური მიიღო ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ტ. ჟივკოვმა.

(საკინფორმი).

მაღალი შეფასება

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პრესა საქართველოს მთავრობის ვიზიტის შესახებ

▼▼

სოფია, 4 ოქტომბერი. ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური პრესა აღნიშნავს ბულგარეთში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ო. ე. ჩერქეზოვის ვიზიტის კონსტრუქციულ ხასიათს. იუწყება რა დღეს ქართველი სტუმრისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გ. ათანასოვის ბოლო შეხვედრის ამბავს, „რაბოტნიჩესკო დელო“ აღნიშნავს, რომ მისმა მონაწილეებმა მაღალი შეფასება მისცეს ბულგარეთისა და საქართველოს ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარების 2000 წლამდე პერიოდის პროგრამას, რომელსაც ხელი მოაწერეს სოფიაში მოლაპარაკების დროს. ამერიდან ერთობლივი მეცადინეობა მოხმარდება საქონლისა და ტექნოლოგიების გაცვლის, იმ ერთობლივი ნაწარმის - შექმნის სფეროს, რომელზეც მოთხოვნილება იგრძნობა. როგორც მოლაპარაკების დროს აღინიშნა, ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ორგანიზაციებისა და საწარმოების ძალისხმევის გაერთიანება, მათი პირდაპირი ურთიერთობის დამყარება.

ბულგარეთი პარტნიორის შეაძლებლობისა და პოტენციალის უფრო დეტალურ გაცნობას ხელი შეუწყო იმანაც, რომ საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელი ეწვია ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დიდ სამრეწველო ცენტრებს — პლოვდივს, შუმენს და ვარნას.

აღნიშნავს რა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანთან, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარესთან ტ. ჟივკოვთან, ბულგარეთის სხვა სახელმწიფო მოღვაწეებთან, სამეურნეო ხელმძღვანელებთან მისი შეხვედრებისა და საუბრების დიდ მნიშვნელობას, ადგილობრივი პრესა ხაზს უსვამს, რომ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა პირველად ამყარებს ასეთ ურთიერთობას სსრ კავშირის ერთ-ერთ საბჭოთა რესპუბლიკასთან.

ვ. აბროსიმოვი,
საკადრის კორ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს

ხ. პერეს დე კუელიარს

ბელოცავთ, ბატონო გენერალურო მდივანო, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მშვიდობის დამცველ საერთაშორისო ძალებს მიენიჭათ საპატიო ჯილდო — მშვიდობის ნობელის პრემია.

საბჭოთა კავშირში ეს გადაწყვეტილება მიიჩნიეთ იმ მშვიდენელოვანი როლის დიდ საერთაშორისო აღიარებად, რომელსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძალები ასრულებენ პლანეტის სხვადასხვა ცხელ წერტილის მშვიდობის უზრუნველყოფაში.

შეგიძლიათ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ბატონო გენერალურო მდივანო, რომ საბჭოთა კავშირი კვლავაც ყოველნაირად დაუჭერს ხარის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მშვიდობისმყოფელი პოტენციალის განმტკიცებას, მტკიცე მშვიდობისა და საყოველთაო უშიშროების დაცვის საქმეში მისი პრაქტიკული წვლილის ზრდას.

მ. ს. გორბაჩოვი.

კოსმოსური ვახტაზე

ზრენის მართვის ცენტრი. 4 ოქტომბერი. (საკადრ.). დღეს პილოტირებულ ორბიტულ კომპლექსთან კავშირის პირველ სეანსში ფრენის მართვის ცენტრის პერსონალმა მიუღოცა ვლადიმერ ტიტოვს, მუსა მანაროვსა და ვალერი პოლიაკოვს მსოფლიოში დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრის გაშვების მორგი წლისთავი, რომელიც, დასაბამი მისცა კოსმოსურ ერას.

ეკიპაჟის მუშაობის ეეგმით გათვალისწინებულია კვლევა ატმოსფეროსგარეშე ასტრონომიის დარგში „ანვარტ“ მოდულის საველიერო ანარატურის გამოყენებით, კომპლექსის ცალკეული სატორტო სისტემების სარეგლამენტო-პროფილაქტიკური მომსახურება. დრო ეთმობა აგრეთვე ფიზიკურ ვარჯიშებს.

„რეტგენ“ ასტროფიზიკური ექსპერიმენტების საერთაშორისო პროგრამის შესაბამისად სრულდება ახალი რენტგენული ვარსკვლავის კვლევის მორიგი ციკლი მეელის თანაგარსკვლავიდან. ამ უნიკალური ცოცხი ობიექტის ბოლოდროინდელი დაკვირვების მიზანია „შავი ხვრელობის“ ახალი კანდიდატის ტემპერატურისა და გამოსხივების სპექტრის ეფექტის შესწავლა.

ორბიტაზე მუშაობა დასაბუნი გრაფიკით მიმდინარეობს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში გაწეული ნაყოფიერი მუშაობისათვის გაზეთი **„ლენინსკოე ზნამია“** დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს **საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ვ. ბილასვ�sილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. ანანიაშვილი.

თბილისი. 1988 წლის 30 სექტემბერი.

მუშაობა არადამაკმაყოფილებლად შეფასდა

ბარდაბნის რაიონის პირველადს პარტორგანიზაციებში საანგარიშო-საარჩევნო კრებები კომუნისტთა მაღალი აქტიურობის და მომთხოვნელობის, პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებაში მიმდინარეობს. ისინი საქმიანად აანალიზებენ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს, პირუთვნელად ამხელენ ხარვეზებს, სახავენ მათი აღმოფხვრის, საქმიანობის გარდაქმნის კონკრეტულ გზებსა და საშუალებებს. სწორედ ამ სულისკვეთებით წარიმართა კრება გამარჯვების მეფრინველეობის ფაბრიკაში.

ამ ფაბრიკაზე დიდ იმედებს ამყარებდა რესპუბლიკა და მისი მშენებლობისათვის თანხაც არავის დაუშურებია. იგი მოკლე ხანში დარგის ფლაგმანი უნდა გამხდარიყო და მთელიანად დაეკმაყოფილებინა დიეტურ ხორცსა და კვერცხზე თბილისისა და რუსთავის მოსახლეობის მზარდოვანი. სამწუხაროდ, შრომითმა კოლექტივმა იმედები ვერ გაამართლა. ფაბრიკა ინთავითვე ვერ გაიმართა წელში, ვერ მიუახლოვდა საროფქვილო სიმძლავრეს, რომელიც დიდი ხნის დაძლეული უნდა იყოს. უკანასკნელ წლებში ფაბრიკაში კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობა შეიქმნა. ყოფილი დირექტორი რ. ცინცაძე უბადრუკად და უნიათოდ უძღვებოდა საქმეს, იმძლავრა ნეგატივრმა მოვლენებმაც, ხელოვნდნენ სახელმწიფო დოვლათს, მოიშალა შრომის ორგანიზაცია და დისციპლინა. პარტიული ორგანიზაციაც, რომლის რიგებში 92 კომუნისტია, ეს კი საკმაოდ დიდი ძალა, მოწყდა მასებს, ვერ შეასრულა მათი ორგანიზატორისა და ავანგარდის როლი, შეასუსტება მომთხოვნელობა. ბუნებრივია, არ იგრძნობოდა მისი გავლენა ამა თუ იმ უბანზე და, სარეთოდ, საქმის ვითარებაზე.

საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე მომხსენებელმა, პარტიული კომიტეტის მდივანმა გ. წიკლაურმა უფერული აქტივური მოხსენება წარმოადგინა, სათანადოდ ვერ გააანალიზა ჩამორჩენის გამომწვევი მიზეზები, შექმნილ მდგომარეობას კი გვერდი მიანც ვერ აუარა. მოიყვანა მეტად დამაფიქრებელი ფაქტები, აღნიშნა, რომ შარშან, წინა წელთან შედარებით, სახელმწიფოსათვის ხორცის მოყიდვა შემცირდა 69 ტონით, ხოლო წლიური გეგმის შესრულებას 370 ტონა დაკლდა. ასევე არ შესრულდა ფრინველის შენარჩუნების, სადღეგრძელო წონამატის, სასაკლაოში ჩაბარებული თითოეული ფრთა ფრინველის საგეგმო წონის დაკლებები. მკვეთრად გაუარესდა ფაბრიკის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობაც. კოლექტივმა სამეურნეო წელი 703 ათასი მანეთი ზარალით დაამთავრა. ფაბრიკა, როგორც ეტყვიან, ქალაში ყულმდეი ჩაფლული. იგი 11 მილიონ მანეთს შეადგენს. ასე რომ, თუ სასწრაფოდ არ განხორციელდა სათანადო ღონისძიებები, მომავალი წლიდან ფაბრიკას არსებობის შეწყვეტაც კი ემუქრება.

ეს შემაშფოთებელი სიტყვები მაკერად გასცა კრებაზე და ბუნებრივიც არის. თქმა იმისა, რომ ფაბრიკას ყურადღება აკლდა, შეიძლებელია. წლეულს განხორციელდა ეტაპებული ხასიათის ორგანიზაციული ღონისძიებანი. ყოფილი დირექტორი რ. ცინცაძე, რომელმაც საქმეს თავი ვერ გაართვა, გაათავისუფლეს. ახალმა დირექტორმა ა. მიქელაძემ საქმეს თითქოს ენერგიულად მოჰკიდა ხელი, გადაისინჯა სპეციალისტთა და საშუალო რგოლის მეთაურთა კადრებიც, დაინერგა ახალი ტექნოლოგიები, შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესული ფორმები: ფართო ზონა გიგსნა საარნდო, კოლექტიერ, საოკახო და პირად ოჯარას. ცხადია, მკვეთრი შემობრუნება ერთბაშად, ერთი ხელის დაკვრით შეიძლებელია, მაგრამ ძვრა უკეთესობისაკენ მაინც და მაინც არ იგრძნობა. მიმდინარე წლის რვა თვეში შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით გაუმჯობესდა ერთადერთი მაჩვენებელი — შესრულდა ფრინველის რაოდენობის დავალება, სხვა მაჩვენებლები კი გაუარესდა. მაგალითად, ამავე პერიოდში ხორცის სახელმწიფოსათვის მოყიდვა შემცირდა 33 ტონით, არ სრულდება კვერცხის მოყიდვის დავალება და, ცხადია, წლიური გეგმის შესრულებაც ჩავარდება. საგეგმოსთან შედარებით შემცირდა წყლიანის გამოჩეკვის პროცენტიც. თითოეული გამოსაზრდელი ფრინველის საშუალო სადღეღამისო წონამატი საგეგმო 16,67-ის ნაცვლად 10,7 გრამია. გაზრდილა ფრინველის გაწყდომის ფაქტები. ერთი სტატეთ, მდგომარეობა კვლავაც არასახარბიელო და საგანგაშოა.

სად უნდა ვეძებოთ გამოსავალი? ინ მთავარი საკითხი, რომელიც დაისვა კრებაზე და რომლისთვისაც კომუნისტებს ამომწურავი პასუხი უნდა გაეცათ.

და ინ კრებაზე კვლავ იჩინა თავი წარსულში ფესვგადგმულმა მავნე სენმა. მომხსენებელი შეეცადა შექმნილი მდგომარეობა „ობიექტური" მიზეზებით გაემარტივებინა ან სუბიექტივის გადაბრალებინა. მას ზოგიერთმა გამომსვლელმაც აუბა მხარი, მაგრამ უშუალო დიალოგმა თანდათანობით მსგავი ხასიათი მიიღო, აშკარად იგრძნობოდა, რომ ახლა დუმილის დრო აღარ არის, ყინული გალეკა, ყველს შეუძლია დაუფარავად გამოთქვას თავისი ჭირი და მას ანგარიშს გაუწევენ. საბოლოოდ ყველაფერი ოქვა, ოქვა სრული სიმართლე. კამათის მონაწილენ ამბობენ, ეს ერთი და როგორ შეიძლება ეშველოს საქმეს, რა გზით შეიძლება უკეთესის მიღწევა.

— ფაბრიკას საგეგმო 50 ათასი კვერცხმდებელი ფეხლის ნაცვლად ამჟამად მხოლოდ 15 ათასი ჰყავს, განაცხადა ფრინველის დამჭერი ბრიგადის ბრიგადირმა მ. ქავთარაძემ. ამდენად კვერცხის წარმოების გეგმის შესრულებაზე ლაპარაკიც შეუძლებელია. ეს კი ინის შედეგიც არის, რომ ყოფილი დირექტორის წაყრუებითა და თბილისიდან მოწვეული სასაკლაოს ყოფილი საქმისაანი ხელმძღვანელის სურვილისამებრ, რომელიც არაფრად აგდებდა კოლექტივის ინტერესებს და პირადი გამორჩენითა ოყო დაინტერესებული, კვერცხმდებელი ფეხლები მსობრივად იკვლებოდა საბორცედ. ცხადია, ჩვენ მაშინ პირდასირაც და კულისებშიც გამოვთქვამდით პროტესტს, მაგრამ ჩვენ ხმას ყურად არავინ აღებდა. სადღეისოდ კი კვერცხმდებელი ფეხლების მოსამრავლებლად განხორციელებული ღონისიძებანი საკმარისი არ არის. თუმცა ფაბრიკის დირექტორმა ავტორიტეტულად განაცხადა, რომ მას წლის ბოლოსათვის ეყოფება საგეგმო რაოდენობა, ხოლო მომავალი წლის პირველი ნახევრის ბოლოსათვის — ორჯერ მეტი. ვნახოთ, თუ კიდევ არ გატეხენ სიტყვას.

— ფაბრიკას არა ჰყავს ზაკეთარი სადედე ჯგუფი და გამოსაჩეკი კვერცხი რესპუბლიკის გარედან შემოგვაქვს, თქვა ფაბრიკის მთავარმა ვეტექიმმა ი. ბეგლავამ. შემოტანილი ძვირადღირებული საინკუბაციო კვერცხი უხარისხო და არასრულფასოვანია, მისგან იჩეკება მცირე რაოდენობის სიცოცხლისუნარო წიწლები, რომლებიც ადვილად ავადდებიან სხვადასხვა ეპიდემიით. სწორედ ასე შეეცადა ვეტექიმი აეხსნა წიწლების მასობრივი გაწყდომის მიზეზები, მაგრამ მას სავსებით სამართლიანად ჰკიოხეს: კი მაგრამ, სად იყვნენ ამ დროს სპეციალისტები, რატომ არაფერს ღონისძიებენ სანაშენო საქმის მოგვარებისათვის?

გამომსვლელთა ერთი ნაწილი გეგმის შეუსრულებლობის ერთ-ერთ მიზეზად ასახელებდა აგრეთვე კომბინირებული საკვების დაბალ ხარისხს. ცხადია, ამას გვერდს ვერ აუვლით, მაგრამ როგორია ავხსნათ ის ფაქტი, რომ ერთნაირ პირობებში ცალკეული ბრიგადები და მეფრინველეები სრულებით განსხვავებულ შედეგებს აღწევენ? მაგალითად, გ. ოთიაშვილის, ს. ბალაბანის, ა. მირიტაძის, თ. გაბუნიას ბრიგადები საგეგმო დავალებას მნიშვნელოვნად აჭარბებენ. მათ თანაბარ პირობებში მომუშავე ჯ. მისურაძის, ბ. მაისურაძის, ო. მარტინოვის, ო. წულაიას ბრიგადები კი საგეგმო დავალებს შესრულებაშიც მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან. ამრიგად, მიზეზები სხვებს კი არ. უნდა ვეძიოთ ფრინველის არასათანადო მოვლაში, რაც გამოწვეულია შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინის შესუსტებით. ამავე დროს დაისვა საკითხი, რომ ფაბრიკამ დროულად მოაწესრიგოს მოწყობილობანი, კერძოდ, საკვების შერევებიც, რათა შესაძლებელი იყოს ადგილზე მაღალკომპონენტიანი საკვები ნიეთიერების მიღება.

კრების მონაწილეებმა მოითხოვეს ზოოვეტერინარული მომსახურების გაუმჯობესება, ფრინველთა სხვადასხვა დაავადებების აღსაკვეთად მკვეთრი ზომების მიღება, ფაბრიკის თანამედროვე ტექნოლოგიური მოწყობილობებით აღჭურვა და ა. შ. მიიჩნიეს იგი გარდაქმნის აუცილებელ პირობად.

ფაბრიკის დირექტორმა ა. მიქელაძემ, ვეტსანიტარმა ს. გვიმრაძემ, ზოოტექნიკოსმა ს. ჭინჭარაულმა, არენდული საწარმოო კოოპერატივის მესვეურმა გ. ჯიქიამ ხაზგასმით მოითხოვეს პარტიულ-ორგანიზატორული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის მკვეთრი გარდაქმნა. ჩვენ ვეღარ შევუერგდებით, თქვეს მათ, როცა კომუნისტი პასიერია, და მით უფრო, თუ პასიურობენ პარტიულ კომიტეტსა და ბიუროებში არჩეულ კომუნისტები. სწორედ კომუნისტთა, კერძოდ, ხელმძღვანელ კომუნისტთა როლის შეუფასებლობამ და უგულებელყოფამ გამოიწვია, რომ პარტიული კომიტეტი, სამმერი, პარტორგანიზაციები და პარტიული ჯგუფები ვერ მუშაობენ დღეკვანდლობის მოთხოვნათა დონეზე. ისინი კრებებსაც იწვევდნენ, საკითხებსაც განიხილავდნენ, დადგენილებებსაც ღებულობდნენ, მაგრამ ყოველივე ამას აკლდა კონკრეტულობა, საქმეშერმად წედომის უნარი. თანაც დადგენილებათა შესრულებასაც ივიწყებდნენ და ისინიც ფარატინა ქაღალდზეღა რჩებოდა. ამ საქმიანობაში ცუდ მაგალითს თვით პარტიული კომიტეტი იძლეოდა. გასული წლის ბოლოს გაიმართა ფაბრიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელმაც მოისმინა პარტიული კომიტეტის ანგარიში გარდაქმნისათვის გაწეული მუშაობის შესახებ, გაისმა ბევრი მყვირალა ფრაზა, კრებამ ძველებურად საზეიმო განწყობილება შეიძინა. გამომსვლელები ბევრს ტრაბახობდნენ გარდაქმნის პირველი შედეგებით, ამბობდნენ, გეგმებს გადაჭარბებთ შეგასრულებთო, მაგრამ, როცა წლის შედეგები შეჯამდეს, სატრაბახო კი არა, ხალხში თავი გამოსაყოფიც არ ჰქონდათ, მათი სიტყვა და საქმე ერთმანეთს დასცილდა. პარტიული კომიტეტი ასე სისტემატურად ივიწყებდა მიღებულ დადგენილებს, პატივს არ სცემდა მას და ამიტომაც მიეცა საქმე მუშაობის ჩაშლამდე.

ამჟამად ფაბრიკაში კარგად გრძნობენ შექმნილი ვითარების სიმძიმეს, ახორციელებენ სათანადო ღონისძიებებსაც მდგომარეობის გამოსასწორებლად, მაგრამ, როგორც ჩანს, ზოგიერთი მათგანი ნაჩქარევი, ეკონომიკურად დაუსაბუთებელია და სასურველ შედეგს ვერ იძლევა. ავიღოთ, მაგალითად, არენდული იჯარა. ამ პროგრესულ მეთოდზე ახლა აქ მასობრივად გადადიან, მაგრამ ეტყობა ყველა წვრილმანს სათანადოდ ვერ ითვალისწინებენ. ამიტომ ზოგიერთ არენდულ კვდანაყოფში საწარმო მარცვლეულები გაუარესდა და მუშათა ხელფასიც კი შემცირდა. ამ ფაქტს სერიოზული ჩაფიქრება და საქმეში ჩახედვა სჭირდება, რათა ალარ გამეორდეს შეცდომები, რომელიც წლების მანძილზე ხდებოდა.

კრების მონაწილენი აღნიშნავდნენ, რომ საწარმოში კვლავაც დაბალია შრომის და საშემცარულებლო დისციპლინა, მუშები საშუშაოზე დიდი დაგვიანებით ცხადდებიან და ადრე ტოვებენ საფრინველეებს. ფაბრიკაში კვლავაც არის კადრების დიდი დენადობა, მეტი ზრუნვაა საჭირო მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო და შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის. პარტიულმა კომიტეტმა, საამქრო პარტიულმა ორგანიზაციებმა და პარტჯგუფებმა განსაკუთრებით უნდა გაძლიერონ აღმშრდელობითი ხასიათის ღონისძიებანი, გაიუმჯობესონ ხელმძღვანელობა კომკავშირისადმი, ახალგაზრდობის აღზრდის ამოცანების გადაწყვეტისადმი.

კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ და სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საქმაგრომრეწვის თავმჯდომარე გ. მგელაძე და პარტიის გარდაბნის რაიკომის პირველი მდივანი ნ. ბოკერია.

კრებამ საფსებით სამართლიანად პარტიული კომიტეტის მუშაობა საანგარიშო პერიოდში შეაფასა არადამაკმაყოფილებლად, აირჩია პარტიული კომიტეტის ახალი შემადგენლობა, გარდაბნის რაიონული პარტიული კონფერენციის დელეგატები, რეკომენდაცია მისცა კომუნისტებს ზემდგომ პარტიულ ორგანოებში ასარჩევად, შეიმუშავა ღონისძიებანი არსებული ნაკლოვანებების სასწრაფოდ აღმოფხვრის, მუშაობის მკვეთრად გარდაქმნისა და გაუმჯობესებისათვის. ფაბრიკის პარტიულმა კომიტეტმა ფეხი უნდა აუწყოს რაიონის პარტიულ ორგანიზაციას — ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთ მოწინავე რაზს, რომელიც ყველაფერს ღონობს, რომ წარმატებით გადაწყვეტოს მის წინაშე მდგომი უმნიშვნელოვანესი ამოცანები.

დ. ბიწაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

სხვაგვარად საქმეს არ ეშველება

კიდევ ერთხელ მავნე მწერების წინააღმდეგ ბრძოლის ბიოლოგიური მეთოდების თაობაზე

მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს დაცვა, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, აღდგენა და გამრავლება ფლეგ ერთ-ერთი უპირველესი მნიშვნელობის ამოცანაა.

თითოეულმა ჩვენგანმა თავისი წვლილი უნდა შეიტანოს საერთაშორისო რესურსების შემნახველ, ბუნების დაცვა-გაჯანსაღებაში.

ცნობილია, რომ მავნე მწერები საშუალოდ მოსავლის 10-20 პროცენტს ანადგურებენ, სატყეო მეურნეობისათვის ათობან ნაგებ მოყვნილი ზარალი ხომ, მართლაც, აუოსებელია.

ბოლოდროინდელ ანალიზებმა, ცხადყო, ეს ფაქტი, ბევრ ადგილზე, ბევრ ადგილზე, ბევრ ადგილზე

ულუსი
საკდესი იუწყება
4 ოქტომბერი
ეროვნული ბანკნოტები

ფესტივალზე ბირმინგემში

● ბირმინგემი. ლამაზი პლაკატებმა და ფერად-ფერადმა ვიზიტებმა, რომლებიც იწვევენ დიდ ბრიტანეთში საბჭოთა კავშირის დღეებში მონაწილეობისათვის, გამოაცოცხლეს ინგლისის ამ მსხვილი ინდუსტრიული ქალაქის ცენტრალური მოედანი და ქუჩები.

აქ გამართული დღეების გახსნის ცერემონიის მონაწილეებს გულთბილი მისასალმებელი სიტყვებით მიმართა ბირმინგემის ლორდ-მერმა ჰაროლდ ბლუმენტალმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჯაროობისა და გარდაქმნის სულისკვეთება, რომლითაც გამსჭვალულია ამ მოლო 20 წლის განმავლობაში პირველი საბჭოთა ფესტივალი დიდ ბრიტანეთში, მთელი ოქტომბრის განმავლობაში ქალაქის ცხოვრების ერთ-ერთ ნაწილად იქნება. „დარწმუნებული ვარ, რომ ფესტივალი ახალ ფურცელს ჩაწერს სსრ კავშირსა და ბრიტანეთის მეგობრული კავშირურთიერთობის ისტორიაში, ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის ხალხთა დაახლოებისა და მშვიდობის განმტკიცებას“, — ბაზგასმით აღნიშნა მან. ბრიტანეთის მთავრობის სახელით საბჭოთა კავშირის დღეების მოწყობის გამო ქმაყოფილება გამოთქვა სგაიო საქმეთა და თანამეგობრობის საქმეთა სახელმწიფო მინისტრმა ული

ᲨᲝᲗᲐᲝᲑᲐ

ᲐᲡᲐᲜᲔᲗᲘ. უძველესი კულტურული ტრადიციის მხარეს, სადაც 22 წლის წინათ პირველად მოიყარეს თავი შოთა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ თაყვანისმცემლებმა, გასულ კვირას კვლავ აღნიშნა შოთაობა.

ისევე როგორც წინათ, დღესასწაული მოეწყო ძველ ხუროთმოძღვართა უნიკალური შედევრის, ვარძიის კლდეში ნაკვეთი კომპლექსის ძირში. წარსული და აწმყო ეხმიანებოდა ერთმანეთს სახალხო დღესასწაულზე: ძველად პოემის სტრიქონები და ლექსები მის გენიალურ ავტორზე. წლევანდელი დღესასწაული განსაკუთრებული გახდა — მასში პირველად მონაწილეობდნენ წლეულს შექმნილი რუსთაველის საზოგადოების წევრები. მათი სახელით გამოვიდა რესპუბლიკური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე პოეტი რ. ამაშუკელი.

შოთაობა დიდი ხანია მარტო ქართველი ერის დღესასწაული აღარ არის — უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“ ხომ საამართლიანად შედის მსოფლიო კულტურის საგანძურში.

— ბევრი რამ ახსოვს ამ მიწას. მისი ყოველი მტკაველი ისტორიის ფურცელია, — თქვა შეკრებილთა მისალმებისას პარტიის ასპინძის რაიკომის პირველმა მდივანმა თ. მოსიაშვილმა. — მაგრამ თითოეული ჩვენგანის გაღლია, რომ დღეკვანდელობაც, ჩვენი ნაოვაწიც ნთელ სტრიქონად ჩაიწეროს ხალხის ისტორიაში.

მესხების ჯგუფი, რომლებიც საქართველოში დაბრუნდნენ საბჭოეთის სხვადასხვა რეგიონიდან, არ მალავდა თავის აღტაცებას დღესასწაულით, მათ მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ღონისძიებაში.

(საქინფორმი).

ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲜᲘ: შოთაობა ასპინძაში. **საქინფორმის** ფოტო.

ᲘᲐᲙᲝᲑᲝᲑᲐ

ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ მოუხატავს შემოდგომის ქართლის ბაღ-ვენახები. ხეზე ვაშლი დაბრაწულა, ზვარში ყურძენი ღუნს. სოფლად მოსავალს იღებენ, ამბინავებენ წლის ნაამაგარს, და კვლავ გუგუნებენ ტრაქტორები — მიმდინარეობს სამშობლოგამო ხვნა, მხვნელ-მთესველები აქედანვე უყურაან საფუძველს საგაფსო ბარაქას და ზოგლათს.

კვირას, ორ ოქტომბერს, მასწავლებლის დღეს, გორის რაიონის სოფელ ვარიაანში დიდი დღესასწაული გაიმართა, „ვარიანელებმა რაიონის მშრომელებთან ერთად იზეიმეს ტრადიციად ქცეული იაკობობა, რომელიც გამოჩენილი მწერალისა და საზოგადო მოღვაწის, დიდი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის დაბადების 148-ე წლისთავს ეძღვნება.

ვარიანი, ქართლის ეს ერთ-ერთი უძველესი და ულამაზესი სოფელი, საზეიმოდ იყო მორთული. ამ დღეს იაკობობაზე მოვიდნენ რაიონის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელები, მეზობელი რაიონების მშრომელთა წარმომადგენლები, სტუმრთა შორის იყო რესპუბლიკის სახალხო განათლების მინისტრი გ. ენუქიძე.

ასობით ადამიანმა დათვალიერა ი. გოგებაშვილის სახლ-მუზეუმი. სოფლის სტადიონზე გაიმართა რაიონის მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების კონცერტი, სპორტული ღონისძიებები, სახალხო სეირნობა.

დღესასწაულს მონაწილეთა ინტერესი გამოიწვია რაიონის საუნალო სკოლების მიერ მოწყობილმა ეთნოგრაფიულმა გამოფენამ, ბავშვების ნახატებმა და ხელსაქმემ.

გვიან საღამამდე გრძელდებოდა ვარიანში იაკობობისადმი მიძღვნილი სპორტული შეჯიბრებები.

ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲜᲘ: იაკობობა.

Გ. ᲑᲔᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ („კომუნისტი“) ფოტო.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სახალხო განათლების სამინისტროს გადწყვეტილებით 7, 8 და 9 ოქტომბერი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და ყველა ტიპის პროფტექნიკური სასწავლებლებისათვის გამოცხადებულია დასვენების დღეებად. ეს მოხდება ზამთრის არდადეგების ერთი დღით შემცირების ხარჯზე.

(საქინფორმი).

ᲛᲝᲜᲘᲐᲜᲘ ᲭᲐᲠᲐᲑᲐᲦᲚᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲡᲢᲔᲞᲐᲜᲐᲫᲘᲙᲐᲠᲢᲘ (მონიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქი), 3 ოქტომბერი. **(საკუთარი კორესპონდენტი ხ. სახლო, ა. კაზანჩიევი).** საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფა, კონტროლი გზებზე — ამით არ შეზღუდულა მთიანი ყარაბაღის ავტონომიურ ოლქში მყოფი შინაგანი ჯარების ფუნქციები. ახლა მათ სურსათ-სანოვაგე მიაქვთ სტეპანაკერტსა და ოლქის სასოფლო რაიონებში, იცავენ წყალსაცავებ პუნქტებს, არემონტებენ და აწყობენ იმ შენობებს, რომლებშიც ისინი დროებით განალაგეს. გარდა ამისა, მიწათმოქმედთა თხოვნით, ჯარისკაცები მთელ რიგ მეურნეობებს ეხმარებიან სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში, რომლებიც, გაფიცვის მიუხედავად, ქალაქს ცხოვრობა რომ მოშალა, მიინც მიმდინარეობს ავტონომიური ოლქის მთელ რიგ რაიონებში.

სტეპანაკერტში მდგომარეობა კვლავ რთულია. სწორმოთა ჭიშკრები დაკეტილია, არ მოქმედებს საზოგადოებრივი და სატვირთო ტრანსპორტი, რამდენიმე სამარშრუტო ტაქსის გამოკლებით. შეწყდა საკმოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების მშენებლობა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ძალზე სჭირდებათ ქალაქის მცხოვრებთ, რკინიგზის სადგურში განუტვირთავი დგას ვაგონები.

დღეს სტეპანაკერტში მიმდინარე წლის 18 ივლისს გამართული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე დასმული საკითხების შესასწავლად ჩამოვიდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატთა ეროვნებათაშორისი ურთიერთობის საკითხთა კომისიის წევრები მისი თავმჯდომარის ა. ე. ვოსის მეთაურობით.



რედაქციის ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
380096, თბილისი, ლენინის პ. № 14
ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ:
მმართველი — 93-85-54,
მმართველი მოადგილეების კანცელარია — 93-73-24

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲞ ᲪᲙ-ᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲚᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲠᲘᲗᲘᲡᲛᲔᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ.

ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲓᲘᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ

— ᲕᲘᲜ ᲕᲘᲡ ᲔᲚᲝᲓᲔᲑᲘᲡ?

სოფიკო დედამისისაკენ შეტრიალდა და ყველის კონა უფრო მაგრად ჩაბღუჯა. სოფიკოს ნაცვლად ქალბატონი ირმა გამოეგეკითხა, დაკით გობეჯიშვილის მეუღლე.

ჯერ წლისაც კი არის. სოფიკომ კი არა, ჩვენც, უფროსებმაც ბოლომდე ვერ აღვიქვით დათის გამარჯვების ამბავი. ერთი კი: იმდენმა ხალხმა მოგვეკითხა, იმდენმა დაგვრეკა და მოგვილოცა, რომ...

— როდის გაიგეთ ჩემპიონი რომ გახდა?

— ნათესავმა დარეკა: ახლა, ამ წუთას რადიოში მოვიხმინეთ. ტელევიზორი დილიდან სალამამდე ჩართული გვქონდა. მაშინ დაგვჯერეთ, როცა მოგიყვანეთ შეჯიბრების რეპორტაჟი დამთავრდა.

...უამრავი ხალხი მოგროვდა თბილისის აეროპორტში. ერეხი № 935 ზუსტად, წუთი-წუთზე ჩამოფრინდა მოსკოვიდან. ამ რეისმა ჩვენი ოლიმპიელები ჩამოიყვანა. დამშვდერთა „რაზმი“ თვითმფრინავისკენ დაიძრა. თითოეული ცდილობდა ტრაპთან ახლოს დაეკავებინა ადგილი, პირველს მიელოცა გამარჯვება ჩემპიონებისთვის და მაღლობის სიტყვები ეთქვა. ტრაპზე პირველნი მაინ აზარაშვილი და ხრიტანა ფილახანდი გამოჩნდნენ. აი, ვლადიმერ აფციაური, გელა კეტაშვილი, დავით გობეჯიშვილი, მიხეილ გაორგაძე... ყველა...ან, მან...ლეება და... ცრემლები — ვლადიმერ აფციაურის დედა, ქალბატონმა ნათელამ თავი ვერ შეიკავა.

— თქვენ გაიხარეთ, შვილებო. როგორ გაგაბარეთ!

ოლიმპიადაზე სახეობათა რაპირისტების გამარჯვების არავინ ელოდა. ვლადიმერ აფციაური, უდაოდ, ამ გამარჯვების ხელისჩამდგმელი იყო:

—მთავარია, რომ ჩვენ გვჯერდა. ეს რწმენა გაგვაორკეცდა, როცა უნგრეთის გუნდი დავამარცხეთ და ფინალში გავედით. ისეთი ძალა მოგვეცა, რომ ჩვენი შეჩერება უკვე არავის შეეძლო. ჩვენ ალაფად დავიმსახურეთ ოქროს მედლები.

ვიდრე დავით გობეჯიშვილი საქართველოს ტელევიზიას ინტერვიუს ანძლევდა, მისი მწვრთნელი გურამ ხაფარაძე დავიმარტოხელეთ:

— დავითმა ღირსეულად იკადა ხელში. ყველამ ვიცოდით, რომ ფინალამდე პრობლემები არ ექნებოდა. ფინალში კი, თავად ნახავდით, სწორი ტაქტიკის წყალობით, ზანი არ დუტოცა მეტოქეს. ბაუმგარტნერი დიდი მოჯადოვავა, მაგრამ დავითმა დაამტკიცა, რომ ახლა უძლიერესია მსოფლიოში. ოქროს მედალს იმსახურებდა ლერი ხაბელაშვილი. ახეთი მონაცემების მოკიდვე ახლა არც არის ნაკლებში. მაგრამ, რას ეზამ, ვარჯიშზე მიღებულმა ტრავმამ ფინალში მაინც იჩინა თავი. ხაბელაშვილი, დარწმუნებული ვარ, მომავალ ოლიმპიადაზეც ფავორიტი იქნება.

ამასთანავე დავით გობეჯიშვილიც შემოგვიერთდა.

— დავით, თქვენ თუ ფიქრობთ ახალ ოლიმპიადაზე?

— ამას რა კითხვა უნდა.

— მაგრამ ჩვენ მაინც „ძველს“ დავუბრუნდეთ. ფინალი ვნახეთ, დანარჩენზე კი თითქმის არაფერი ვიცით.

— სულ ოცი მოკიდავე ვიყავით მძიმე წონაში. წილისყრაზე მეათე ნომერი შემხვდა, ბოლოო შედეგებს არ ველოდებივარ — ოლიმპიურ სოფელში მოვბრუნდი. იქ მითხრეს ბიბეზმა: ყველაფერი რიგზეა, ბაუმგარტნერი შეორე ქვეჯგუფში მოხვდაო. ჩემთვის ამას პრინციპიული მნიშვნელობა არც ჰქონდა: ვიცოდი, რომ ერთხელ მაინც მომიწევდა მასთან შეხვედრა. ქვეჯგუფში ხუთი მეტოქე მყავდა— სამი წმინდად დავამარცხე, ორი — აზარა უპირატესობით... ბაუმგარტნერის ჭიდაობის ყველა წესრიგმანი მწვრთნელებთან ერთად ბოლომდე გვქონდა გაშიფრული. ტაქტიკაც ამის მიხედვით შევარჩიეთ! „ჩვენს ენაზე“ რომ ვთქვათ, ფეხი არ უნდა მიმეცა, შეტევა უნდა დამესწრო. მეხამე ქულა რომ ავიღე, დავრწმუნდი საქმე მოთავებული იყო. იარიგანისკენ გავიხედე და ხელით ვანიშნე — ყველაფერი რიგზეა-მეთქი. იმ დღეს ჩვენ სამი ოქროს მედალი ავიღეთ და მწვრთნელებმაც შეეხით ამოისუნთქეს. თუმცა, ხაბელოვის მარცხმა ყველას დაგვწეალა გული. ვარჯიშზე მიღებული ტრავმის შემდეგ ექიმები გვერდიდან არ შორდებოდნენ — დღეში ექვს ნემსს უკეთებდნენ, მაგრამ...

გობეჯიშვილი ჩემს კოლეგებს „დავუთმე“. გელა კეტაშვილი მყავდა სანანახავი. გელა თანაელუნელებსა და „დინამოს“ მწვრთნელებს უზიარებდა ხელოვნის შთაბეჭდილებებს:

— ვერავინ იტყვის, რომ ჩვენი გამარჯვება შემთხვევითი იყო. მედლის ყველა პრეტენდენტი დავამარცხეთ — არგენტინა, იტალია, ბრაზილია. ყველაზე ძნელი, რა თქმა უნდა, ფინალური შეხვედრა გამოდგა. ბრაზილიელებს, როგორც ყოველთვის, ჩაცმული გუნდი მყავდათ, მაგრამ საბჭოთა ნაკრები უფრო მონოლითური გამოდგა...

გუშინ, აეროპორტში ახალი ნახეხარული ამბავიც შევიტყეთ: ბრინჯაოს მედალს დაეუფლა კიდევ ერთი ქართველი სპორტსმენი — მაია აზარაშვილი. ჩვენი სპრინტერი 4X100 მეტრზე ესტაფეტის წინასწარ გარბენში მონაწილეობდა და სხვებთან ერთად დამსახურა საპრიზო ადგილი. როგორც ცნობილია, ახეთივე ჯილდო მიიღო თბილისელმა წყალბურთელმა მიხეილ გაორგაძემ, რომელმაც ოლიმპიადაზე საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში ორ მატჩში ითამაშა.

...სპეციალ ტრიუმფატორებს გუშინ ხელს ართმევდა თბილისი, მთელი საქართველო. მოდით, კიდევ ერთხელ ალვნიშნოთ: ჩვენმა ათლეტებმა ღირსეულად მოიახდეს ვალი და ახალი ფურცლით შეავსეს ქართული სპორტის მატიანე. დღეკანდელ ჩემპიონებს და მათს მიმდევრებს კიდევ ბევრი სპორტული მწვრთვნელი ელით.

Ე. ᲑᲔᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗᲐᲜᲐ: დავით გობეჯიშვილი, ვლადიმერ აფციაური, გელა კეტაშვილი... ისინი ოქროს მედლებით დაგვიბრუნდნენ სეულიდან. დავით გობეჯიშვილი მეულლესთან და მატარა სოფიკოსთან ერთად: დედა და შვილი — ქალბატონი ნათელა და ვლადიმერი; გელა კეტაშვილს კიდევ ბევრჯერ მოუწევს ავტოგრაფის დარიგება.

Შ. ᲞᲠᲘᲛᲡᲙᲘᲡ („კომუნისტი“) ფოტო.



ᲒᲠᲫᲝᲚᲡᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲗ

ᲒᲣᲨᲘᲜᲓᲔᲚᲘ სათასო შეხვედრაში თბილისის დინამოელებს შედეგებით იოლი ამოცანა ჰქონდათ გადასაწყვეტი: მეოთხედფინალში გასასვლელად მინიმალური ანგარიში უნდა დაემარცხებინათ პირველი ლიგის კოლექტივი—ლვოვის ასკ — „კარპატი“. ამ გუნდების პირველი მატჩი, როგორც ცნობილია, ფრედ (0:0) დამთავრდა და ჩვენმა ფეხბურთელებმა სამჭის ნახევარი სწორედ მაშინ გაიკეთეს. ნახევარიც და ცოტა მეტიც, რადგან საკუთარ მოედანზე ჩასატარებელი გამეორებითი შეხვედრა გუნდს თანაესთვის ბრძოლის გაგრძელების კარგ პერსპექტივას უქმნიდა. ერთი სიტყვით, მასპინძლები თავდაჯერებულნი გამოვიდნენ მოედანზე, იმედიანად იკვნენ გულშემატკივრებიც და არავის შეეძლო ექნა მატჩის საბოლოო შედეგში. სხვათა შორის, ჩვენი მეტოქეც ბევს შერიგებული ჩანდა. მით უმეტეს, თბილისელებმა თავიდანვე ხელთ იგდეს თამაშის სადავეები და 26-ე წუთზე ჭიზანს მიაღწიეს: რევიშვილი-ცაავას კომბინაცია ამ უკანასკნელმა გოლით დაადგრიგვინა. „დინამოს“ არც შესვენების შემდეგ შეუწყვეტია იერიშები და კიდევ ორჯერ აიღო სტუმართა კარი: მეორე გოლი გიორგაძემ გიტანა, მესამე — რევიშვილმა. მატჩის მიწურულს ერთი ბურთი გაქვითა ლვოვინმა — 3:1.

„დინამომ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: გაბელია (ანტურია), ცეცეიბა, ცხადაძე, ჯედია, არზიანი, რევიშვილი, სვანიძე, ქეცბაია (აფციაური), ცაავა, გურული, გოგიჩაიშვილი (გ. ჯიშკარიანი).

მაშ ასე, ჩვენი რესპუბლიკის ორი გუნდი — თბილისის „დინამო“ და ქუთაისის „ტორპედო“ საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების მეოთხედფინალში გავიდნენ. ამ ეტაპზე დინამოელები მოსკოვის „სპარტაკს“ შეეჯიბრაენ, ტორპედოელები „ძალერისსა“ და კიევის „დინამოს“ შორის გამართულ ორ მეოთხედფინალური მატჩები გაისად გამართება.

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲡᲐᲐᲗᲘᲡ

ᲒᲣᲨᲘᲜ თელავში გაიმართა მაია ჩიბურდანიძისა და ნანა იოსელიანის მატჩის მეხუთე პარტია. თეთრი ფიგურებით თამაშობდა მსოფლიო ჩემპიონი. მეტოქეებმა უკიმპრომისო ბრძოლა გაიჩაღეს, მაგრამ პარტია დაუთმავრებელი დარჩა. 41-ე სვლა იოსელიანმ ჩაიწერა.

ᲛᲐᲜᲬᲐᲘᲛᲘᲡ ᲙᲘᲜᲝᲤᲘᲚᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲑᲝᲜᲜᲘ. 3 ოქტომბერი. (საკუთარი). დღეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დიდ ინდუსტრიულ და კულტურულ ცენტრში — მანჰაიმში გაიხსნა საერთაშორისო კინოფესტივალი. მანჰაიმის კინოფესტივალის ეკრანი, რომელიც უკვე ოცდაშვიდმეტჯერ ეწყობა, ტრადიციისამებრ ეთმობა საღებიტაო ნამუშევრებს კინემატოგრაფიის დარგში. წარმომადგენლობითი ეიური ნაწილს 230 მხატვრულ და დოკუმენტურ ფილმს.

ადგილობრივი პრესის შნიშვნელოვან ყურადღებას იქცევს საბჭოთა კინორეჟისორების ფილმები. საკონკურსო პროგრამაში არის ლ. დოლობერიძის ფილმი „ოროშტრანი“, გ. გაერილოვის — „აღსარება. გაუცხოვების ქრონიკა“, ე. ციმბალის — „დამცველი სდოვი“. ვ. ოსელედოვის „როგორ ვცხოვრობთ“.

საერთაშორისო კინოფესტივალის სპეციალური პრიზი მიენიჭება აზიის, აფრიკის ან ლათინური ამერიკის ერთ-ერთი ქვეყნის კინემატოგრაფისტთა ნამუშევარს.

საქართველოს ᲣᲧᲠᲜᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ კავშირის, სპორტულ ᲣᲧᲠᲜᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ფედერაცია, გაზეთ „ლელის“ რედაქცია თხილისის ᲣᲧᲠᲜᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ სასლში 5 ოქტომბერს, 17 საათზე აწყობს სეულის ოლიმპიური თამაშების სარეკლამო მასალების, სუვენირების, ოლიმპიური სიმბოლიკის გამოფენას.

ᲩᲐᲜᲐᲬᲔᲠᲘᲡ იქნება ასლადები.

სეულიდან დაბრუნებული ᲣᲧᲠᲜᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ოლიმპიადის **ᲨᲝᲗᲐᲝᲑᲘᲡ** ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ.

რედაქტორის მოადგილე Დ. ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ

ᲜᲐᲮᲕᲐᲛᲓᲘᲡ, ᲚᲝᲒᲘᲝ!

ᲙᲐᲜᲐᲗᲘ იმაზე, კოოპერაცია, როგორც ახალი ფორმა, ცუდია თუ კარგი, იგივეა, რაც დავა იმაზე, ჯობრთელობა სჯობს თუ ავადმყოფობა. დარბაისელი კაცი ამაზე, რა თქმა უნდა, არ იკამათებს.

კოოპერატივების შექმნა კი დარბაისელი, ინიციატივიანი, საქმიანი ხალხის საქმეა. მაგრამ როგორც ყოველივე ახალს, ამ წამოწყებასაც პატარ-პატარა ხარვეზებიც სდევს თან. ხარვეზები, რომლებიც დროდადრო კაზუსურ სიტუაციასაც კი ქმნის. გაუგებარი, უმაქნისი „კოოპერატივები“ არამცთუ არ გვეხმარება, ზშირად ღიმილს და აღშფოთებასაც კი იწვევს.

...მიხვალ მანქანით ბენზინის ჩასასმელად, ვინ გაცლის, ბატონო, ჩამოსვლას!? დაგერეკავ, გასაღებს ჩამოგართმევენ, ეცემიან მინებს, წმენდას დაუწყებენ ათი წუთის წინ გარეცხილ მანქანასა... დგიხარ გაოგნებული, უხერხულად იღიმები, არ იცი, რა ქნა... „კოოპერატორები“ კი სერიოზული ფუსფუსით გარს გიგლაან. ისეთი შთაგონებით გელოლიავებიან, გეუბერხულება კიდეც ხურდა ფულის მიცემა. თან ფიქრობ — რაში გადაიხადე ფული? ვის მოუვიდა თავში ასეთი კოოპერატივის შექმნა?

არიქა, კოოპერატორები ვართო და რასაც გვინდა, სადაც გვინდა და როგორც გვინდა ისე ვიმუშავებთო? მე მგონი, მთლად მართებული არ იქნება სტადიონზე პრომეშენის კოოპერატივის ჩამოყალიბება... ღმერთმა დაგვიფაროს და, ეს იდეა ვინმეს ჭკუაში არ დაუჯდეს. ამსწორნათ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროდან საინტერესო ამბავი შეგვაცნობინეს.

...გურჯაანელებისათვის არც კოოპერატივია უცხო ხილი და არც იუმორი. როგორც ჩანს, ამ ორი ცნების ერთად შერწყმამ განაპირობა ქალაქის ცენტრში ახალი კოოპერატივის — სალონ-ბიეს შექმნა. საქმე ის არის, რომ ეს სურნელოვანი, მოთუხთუხე კოოპერატივი რაიონის პროკურატურასა და რაიონის სასამართლოს შენობაშია მოთავსებული (?). რაიონის ზოგიერთმა თანამდებობის პირმა გიოიცა კიდეც — რა არის აქ სამართალი? პროკურორებს და მოსამართლეებს ჭიმა არ უნდათო? როგორ არ უნდათ, ბატონო, მაგრამ პატიმრმა რა დაამავა?

აბა, წარმოიდგინეთ სიტუაცია — მიდის სასამართლო სხდომა. ერთი საათი, ორი, სამი... და ნელ-ნელა დარბაზს საამო, მადის აღმძვრელი, წიწაკიანი, ძმრიანი, ხმელი სუნელით შეზაფხული ნიგზეთია და ბრონეულით შეკმაზული ლობიოს სურნელი ეუფლება. მოსამართლესა და ბრალდებულს შორის შინაურული, ახლო დამოკიდებულება მყარდება. ბორიტმოქმედს აგიხდება ნთელი წყნარული, მშობელი დედა, კლასის დამრიგებელი... ცრემლმორეული ინანიებს ცოდვებს, ყველაფერს გულახდილად ყვება...

ანალოგიური სიტუაცია პროკურატურამაც ვითარდება. გულაბუფებული პროკურორი ანუ გამომძებნი მოქვითინე სიდედრის მკვლელს... და ყოველივე ეს ლობიოს, ოჯახური ლობიოს, მეშვიერთი მოხდა. მიზანი მიღწეულია, რატომ გაიხსნა ამ მკაცრ შენობაში ეს იდილიური კოოპერატივი... ერთი მინუსი კი აქვს ამ ქვეყნის ცრურა — სახელწოდება არა აქვს საკობიეს. ერთმა პატიმარმა, განაჩენის გამოტანის შემდეგ, ამოიკვნესა — ნახვამდის ლობიოო!!! ეს სიტყვები ხომ არ გამოგვეტანან ამ კოოპერატივის დასახელებაში?

თავს ალარ შეგაწუხენთ, მეგობრებო, იმის გამეორებით, რომ კოოპერატიები — კოოპერატივად და ჭკუა, ანუ სიდარბაისლე — სიდარბაისლედ. მოდით, ბაზრდ, დიდ და საჭირო საქმეს საქილიკოდ ნუ გადავაქცევთ.

ამ დღეებში საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიამ იმსჯელა ამ ფაქტის თაობაზე.

კოლეგია აღნიშნავს, **რომ** გურჯაანის **რაიონის** სახალხო **სასამართლოს** შენობაში, **სადაც** **რაიონის** **პროკურატურაც** არის **განლაგებული, მოქმედი** **კანონმდებლობის** **უხეში** **დარღვევით** **და** **სასამართლოს** **თავმჯდომარის** **მ. ნ. ლაპაიშვილის** **აქტიური** **ხელშეწყობით** **საუკეთესო** **პირის** **მიერ** **გაიხსნა** „**სალონი**“.

მიიღო **რა** **გურჯაანის** **საკალაქო** **საბჭოს** **აღმასკომის** **წერილი** **სახალხო** **სასამართლოს** **შენობაში** **აღნიშნული** **ობიექტის** **გახსნის** **შესაძლებლობის** **შესახებ** **მ. ნ. ლაპაიშვილმა** **საქართველოს** **სსრ** **იუსტიციის** **სამინისტროს,** **რომლის** **ბალანსზეც** **იმყოფება** **შენობა,** **თანხმობის** **გარეშე** **ნება** **დართო** **მოქ. გ. კურდღელაშვილს** **გიეხსნა** „**სალონი**“.

მ. ნ. ლაპაიშვილი **არ** **დაელოდა** **გ. კურდღელაშვილის** **ინდივიდუალურ** **შრომით** **საქმიანობაზე** **სანებისადგურისა** **და** **საფინანსო** **ორგანოების** **სათანადო** **ნებართვას,** **საშუალება** **მისცა** **მას** **სამი** **თვის** **განმავლობაში** **ეწარმოებინა** **სარემონტო** **და** **კვების** **ობიექტისათვის** **საჭირო** **სამუშაოები,** **დანადგარების** **მონტაჟი** **და** **შემდგომი** **ფუნქციონირება.** **ამდენად,** **მ. ნ. ლაპაიშვილის** **მიმნებებლობის** **და** **იურიდიული** **უგულებლობის** **გამო** **უხეშად** **დაირღვა** **ინდივიდუალური** **შრომითი** **საქმიანობის** **შესახებ** **სსრ** **კავშირის** **კანონის** **მოთხოვნები.**

მ. ნ. ლაპაიშვილმა **არ** **გაითვალისწინა** **ისიც,** **რომ** **ვინმე** **გ. კურდღელაშვილი** **ვაჭრობის** **სიტუაციიდან** **განთავისუფლებული** **იყო** **საკონლის** **გადამალვის** **გამო,** **მის** **მიმართ** **რაიონის** **პროკურატურაში** **არსებობდა** **სათანადო** **მასალები** **და** **წლების** **განმავლობაში** **იგი** **არ** **ეწეოდა** **საზოგადოებრივ** **სასარგებლო** **შრომას.**

სასამართლოს **შენობაში** **საზოგადოებრივი** **კვების** **ობიექტის** **გახსნისას** **და** **მასში** **საეჭვო** **პირების** **მოშობის** **გამო** **რაიონში** **შეიქმნა** **არაჯანსაღი** **საზოგადოებრივი** **აზრი.** **საგულისხმოა,** **რომ** **საქართველოს** **სსრ** **იუსტიციის** **სამინისტროში** **შემოვიდა** **და** **ამუამად** **შეხწავლის** **პროცესშია** **სხვა** **მასალებიც** **მ. ნ. ლაპაიშვილის** **პირად** **ცხოვრებაში** **კერძოსაკუთრული** **ტენდენციებისა** **და** **მართლმსაჯულების** **განხორციელებასის** **დაშვებული** **უხეში** **შეცდომების** **შესახებ.**

ზემოაღნიშნული **დარღვევების** **გამო** **მ. ნ. ლაპაიშვილმა** **დაკარგა** **მორჩილური** **უფლება** **რაიონში** **ახორციელებდეს** **მართლმსაჯულებას** **და** **მთ** **უმეტეს** **ხელმძღვანელობდეს** **მას.**

ამასთან **კოლეგია** **აღნიშნავს,** **რომ** **სახალხო** **სასამართლოს** **შენობაში** „**სალონიის**“ **გახსნისა** **და** **ფუნქციონირების** **თაობაზე** **თუმცა** **ინფორმირებული** **იყო** **სახალხო** **მოსამართლე** **მ. შ. ლეალაძეც,** **მან** **არ** **გამოიჩინა** **სათანადო** **პრინციპიულობა** **და** **აღნიშნულის** **თაობაზე** **არ** **აცნობა** **იუსტიციის** **სამინისტროს.**

კოლეგია **ადგენს:**

1. **ეთხოვოს** **საქართველოს** **კომპარტიის** **გურჯაანის** **რაიონულ** **კომიტეტს** **დასვას** **საკითხი** **ამომრჩეველთის** **წინაშე** **რაიონის** **სახალხო** **სასამართლოში** „**სალონიის**“ **გახსნისას** **გამოჩენილი** **პოლიტიკური** **სიბეცის,** **პროფესიული** **არაკეთილსინდისიერების** **და** **უგულებლობის,** **აგრეთვე** **სამსახურებრივი** **თვითნებობისათვის** **მისეული** **ნიკოლოსის** **ძე** **ლაპაიშვილის** **დაკავებული** **თანამდებობიდან** **ვადამდე** **გამოწვევის** **შესახებ;**

— **იქონიოს** **მსჯელობა** **სახალხო** **მოსამართლე** **მაგული** **შალვას** **ასულ** **ფალაძის** **პარტიული** **პასუხისმგებლობის** **შესახებ.**

2. **ეთხოვოს** **საქართველოს** **სსრ** **პროკურატურას** **შეიხწავლის** **გურჯაანის** **რაიონის** **სახალხო** **სასამართლოს** **შენობაში** „**სალონიის**“ **გახსნისას** **დაშვებული** **თვითნებობის** **ფაქტები** **და** **იქონიოს** **მსჯელობა** **სახალხო** **სასამართლის** **საქმის** **აღძვრის** **მიზანშეწონილობის** **თაობაზე.**

3. **დაუყოვნებლივ** **მიტანილ** **გურჯაანის** **რაიონის** **სახალხო** **სასამართლოს** **ორგანიზაციული** **საქმიანობის** **კომპლექსური** **შემოწმება** **და** **სამინისტროში** **შემოსული** **ინფორმაციის** **შესწავლა** **მ. ნ. ლაპაიშვილის** **მიერ** **კერძოსაკუთრული** **ტენდენციების** **გამოვლენის** **თაობაზე.**

...**ისე** **დამთავრდა** **ეს** **არც** **თუ** **ისე** **პიკანტური** **ისტორია.**

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲮᲐᲠᲐᲘᲫᲔ.

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 5 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ. 13.00 — „ნაშუადღევს“. 13.50 — მათემატიკის ტელეკურსი. 14.20 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „იალქანი, ქარი და ჩვენ“. 14.40 — მას წ ა ვ ლებლის საათი. ინფორმაციისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლები... 15.50 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.00 — შევისწავლოთ გერმანული ენა. 16.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მპარავები“, „სროლისა და დევნის გარეშე“. სამძებრო მილიციის 70 წლისთავის გამო. 17.15—„ბოგზაურობა ინდოეთში“. 17.50—განცხადებები. 17.55—მულტიპლიკაციური ფილმები. „მეწინავე“ და „თეთრი კობაკი“. 18.15 — კამერული მუსიკის კონცერტი. 18.40 — „ზრუნვა“. 19.25 — მოამბე. 20.00 — ფეხბურთი ევროპის თასის მფლობელთა თასზე. მეთექვსმეტიდფინალი. ხარკოვის „მეტალისტი“ — იუგოსლავიის „ბორაცი“. უეფას თასის ოცდამეთორმეტიდფინალი. მოსკოვის „ტორპედო“ — შვეიცარის „მალმე“. მინსკის „დინამო“ — ბულგარეთის „თრაკია“. 22.00